საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა


თბილისი, ამაღლების ქუჩა №37



საპროექტო ტერიტორია

შემსრულებელი:

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი



1. ადგილმდებარეობა




აეროფოტო, 2006წ.

ახალმშენებარე ობიექტის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან სოლოლაკში – **ამაღლების ქუჩა №37** (ძველი თბილისის გამგეობა). იგი მოიცავს, ამაღლების ქუჩის პერიმეტრიდან უკან დაწეულ ერთსართულნ უსტატუსო საცხოვრებელი სახლს, რომელიც მიდგმულია ამავე ნომრით აღრიცხულ ორსართულიან საცხოვრებელ სახლზე.

უბნის ეს მონაკვეთი სოლოლაკის ქედის დაფერდებულ ადგილზეა განფენილი. ამაღლების ქუჩა ამ მიკროუბნის ღერძს წარმოადგენს. იწყება პ. იაშვილის ქუჩასთან, ოდნავი მორკალებით მიემართება ზევით, გზაში იერთებს ვიწრო ქუჩებს ორთავე მხრიდან და გადაიზრდება კოჯრის გზატკეცილში.

ქუჩის ქვედა ნაწილში საინტერესო არქიტექტურული ნაგებობებია, რომელთაგან რამდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. ზევით განაშნიანება ქაოტურ ხასიათს იძენს, თუმცა ნაგებობები საინტერესო აქცენტებს ქმნიან და წამყვანი ადგილი უკავიათ ქუჩისა თუ უბნის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული იერ-სახის შექმნაში.

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია ნაგებობის დაშლა და მის ნაცვლად ახალი საცხოვრებელი სახლის აგება.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო სახლი უსტატუსო ნაგებობაა არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია ნაგებობები მის ირგვლივ:


საცხოვრებელი სახლები – ამაღლების ქ. №№33,34 . .;

უბნის დანარჩენი არქიტექტურული ძეგლები არ განიხილება საპროექტო სახლის ხედვით კონტექსტში

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

უბნის ისტორიული განვითარება



ვახუშტის გეგმა 1735 წ.


ბატონიშვილი ვახუშტის მიერ 1735 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე, დღევანდელი სოლოლაკის უბანი დაუსახლებელია. იმ ადგილზე, სადაც ახლა ქალაქის მერიაა და უფრო ზევით, იყო სამეფო ბაღები. სალალაკის და მთაწმინდის ქედების მიჯნაზე, სალალაკის ქედის ძირში, დაახლოებით დღევანდელი საპროექტო ტერიტორიის ქვემოთ, ამ გეგმაზე №42-ით აღნიშნულია თბილელის ბაღი, რომელსაც გარს შემოუვლის კოჯრის გზა. ამაღლების ქუჩა ამ გზაზე განვითარდა XIX ს-ის შუა წლებში. საპროექტო ტერიტორია ამ და მომდევნო გეგმებზე აღნიშნულია წითელი ელიფსით.



1831 წ. გეგმა


XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან სოლოლაკში თანდათან გაჩნდა განაშენიანება, დაიგეგმა ქუჩების რეგულარული ქსელი, თუმცა 1831 წლის გეგმაზე სოლოლაკში ჯერ კიდევ ბაღებია და მხოლოდ კოჯრის გზა არის აღნიშნული. საინტერესოა, რომ რუკაზე აღნიშნული ბაღი აქ დღევანდელი კვარტალური განაშენიანების ფორმას ემთხვევა. ეს გარემოება საყურადღებოა რადგან, როგორც ვხედავთ ქუჩების ქსელი აქ მოერგო ბუნებრივ მოცემულობებს – კოჯრის და ამაღლების ქუჩებმა ამ ბაღის კიდეებზე გაიარა.

აქ განაშენიანება მხოლოდ მთაწმინდის ქედის ძირში, სალალაკის წყლის მარცხენა ნაპირზე ჩანს – ამაღლების დღევანდელი ქუჩის კენტრიცხვებიანი მხარე (ეს განაშენიანება გეგმაზე აღნიშნულია წითელი ისრით). ეს იყო სოფლური ტიპის ქაოტური განაშენიანება. ამ უბნის ურბანულ განაშენიანებას ძირითადად XIX საუკუნის ორმოციან წლებში შეუდგნენ და მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახე უბანმა XIX საუკუნის ბოლოს მიიღო.




თბილისის გეგმა 1841წ.

1844 წ. გეგმაზე ჩანს, რომ ჩამოყალიბებულია ამაღლების ქუჩის მხოლოდ ქვედა ნაწილი, რომელსაც იმ დროს სოლოლაკის ქუჩა ერქვა – გეგმაზე აღნიშნულია №10-ით. დღევანდელ საპროექტო ტერიტორიის ადგილას განაშენიანება უკვე ჩანს. აქ, ჯერ კიდევ არ არის ქუჩა ბოლომდე გაყვანილი და კოჯრისკენ ასახვევი გზა ჯერ კიდევ არ აშენებულ ამაღლების ეკლესიასთან იყო, ბაღის ბოლოს. დღეს ამ ასახვევს ამაღლების გასასვლელი ეწოდება. აქ დღეს ფეხით მოსიარულეთა გზა მიდის ზემოთ სალალაკის ქედისკენ,.




თბილისის გეგმა 1867წ.

1867წ. გეგმაზე ქუჩა უკვე ხეობის ბოლომდეა გაყვანილი. მას სახელი გადაერქვა და უკვე ამაღლების ქუჩა ჰქვია, აქ 1851 წელს აგებული ამაღლების ეკლესიის გამო. ქუჩა აღნიშნულია №71-ით. ასევე უკვე გაჭრილია ამაღლების ქუჩის პარალელური კოჯრის ქუჩა – №69 და ამ ორი ქუჩის დამაკავშირებელი კოჯრის შესახვევი №70 (დღეს მუსხელიშვილის ქ.). განაშენიანება უკვე ამაღლების ეკლესიამდე აღწევს და მთლიანად მოიცავს ამაღლების და კოჯრის ქუჩებით შემოფარგლულ არეალს, დღევანდელ საპროექტო ტერიტორიასთან კი მთავრდება განაშენიანება.



თბილისის გეგმა 1898წ.

1898 წლის გეგმაზე ჩანს, რომ ამ უბანში ქუჩების ქსელი მთლიანად ჩამოყალიბებულია. აქ უკვე ნათლად იკვეთება ის განაშენიანებული მონაკვეთები, რომლებიც მთლიანად ესადაგება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე განაშენიანებულ მონაკვეთებს. ხელუხლებელი დარჩა კოჯრისკენ მიმავალი გზა (დღეს ამაღლების გასასვლელი), რომელსაც მაშინ კოჯრიის აღმართი ეწოდებოდა. კოჯრის ახალი გზა (რომელიც დღესაც მოქმედებს), მხოლოდ XIX-XX სს-თა მიჯნაზე გაიყვანეს.



თბილისის გეგმა 1902წ.

1902 წ. გეგმაზე ამ უბანში ქუჩების ქსელის ჩამოყალიბების პროცესი მთლიანად დასრულებულია და ქუჩები სრულად არის განაშენიანებული. უკვე გაჭრილია კოჯრისკენ მიმავალი ახალი გზა სალალაკის ქედის ფერდობზე. ძველი გზა თანდათან კარგავს სამიმოსვლო ფუნქციას და გარდაიქმნება შიდასაუბნო ქუჩად. აქ უკვე ღნიშნულია მრუდე ჩიხი და სწორი ჩიხი საპროექტო ობიექტთან. დასავლეთით, ზედა ნაწილში კვლავ არის შენარჩუნებული გამწვანებული არეალი, რასაც აღნიშნავს გეგმაზე გამოსახული მუქი ფერის რომბისებური მონაკვეთი. ეს ვითარება ასახულია XX ს-ის დასაწყისის ფოტოზე.




თბილისი, სოლოლაკის ზედა უბნის ხედი

XX ს-ის დასაწყისის ფოტო
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

ფოტოზე ჩანს, რომ ამ პერიოდისთვის სოლოლაკის ზედა მხარე მთლიანად არის განაშენიანებული, თუმცა განსხვავებაა ამ ზედა მხრის ქვედა და მთისწინა ნაწილებში. ამაღლების გასასვლელამდე მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული და მსხვილი განაშენიანებაა, ამაღლების ეკლესიის ზემოთ კი განაშენიანებას და ქუჩების ქსელს ქაოტური სახე აქვს.


ამგვარად სოლოლაკისა და მთაწმინდის ზღვარზე, მთაწმინდის ფერდის ძირში მდებარე ტერიტორია, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ მოშორებული იყო თბილისის ცენტრს, XIX საუკუნის ბოლოს უკვე ქალაქის ზედა ზღვარს წარმოადგენს.



თბილისის გეგმა 1924წ.

1924 წლის გეგმაზეც იგივე ვითარებაა გამოსახული, იმ განსხვავებით, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თითქმის მთლიანად შეიცვალა ქუჩათა დასახელებები. გამწვანებული ტერიტორია შემორჩენილია მხოლოდ კოჯრის გზატკეცილთან. ამავე პერიოდში აიღეს ამაღლების გუმბათიანი ეკლესია.

ნაკლებად შეეხო ამ მიკროუბანს XXს-ის II ნახევრიდან აქტიურად დაწყებული ცვლილებებიც და XXს-ის ბოლომდე აქ პრაქტიკულად შენარჩუნებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანება.




თბილისის გეგმა 1975წ.


ამ უბნის განაშენიანების დღევანდელი სახე, იმ ისტორიულ-სოციალური და მხატვრულ-არქიტექტურული ფაქტორების შედეგია, რაც გარკვეული დროის მანძილზე ჩაისახა, განვითარდა და ჩამოყალიბდა განსაზღვრულ გეოგრაფიულ რელიეფზე. ამ რეალიებმა განაპირობა უბნის ურბანული ქსოვილის ის არქიტექტურული მახასიათებლები, რაც ზოგადად საერთოა ძველი თბილისისთვის, თუმცა ამ მიკრო უბანს გააჩნია საკუთარი კრიტერიუმებიც.

თბილისის გეგმა 1975წ.

ამაღლების ქუჩის განაშენიანების სტრუქტურა



ამღლების ქუჩა – 2013წ. შუა ნაწილი



ამღლების ქუჩა – 2006წ. შუა ნაწილი

სოლოლაკის ქვედა მონაკვეთისაგან განსხვავებით (ლ. ასათიანისა და ლეონიძის ქუჩებს შორის), რომელიც რეგულარული განაშენიანებით განვითარდა, მისი ზედა, სალალაკის და მთაწმინდის კალთებზე შეფენილი ნაწილის ურბანული განაშენიანება რელიეფს არის მორგებული. ქუჩები აქ ბუნებრივ მოცემულობებს მიჰყვება და თავისუფალი მოხაზულობა აქვთ.

ასეთივეა ამაღლების ქუჩაც, რომელიც გაშლილი რკალით, რბილად ფარგლავს სალალაკის ხევს და მთაწმინდის კალთების მისადგომებს. ეს უკვე მთის წინა ზოლია და ქალაქის განაშენიანება ამ მიმართულებით ნელნელა მიიწევდა წინ. განაშენიანების განვითარება აქტიურად დაიწყო კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების კვალდაკვალ. XIX ს-ის ბოლოს სოლოლაკი პრესტიჟულ სამოსახლოდ იქცა. აქ შენდებოდა მოზრდილი საშემოსავლო სახლები და მდიდრული კერძო ვილებიც. თანდათან ეს სამშენებლო ტენდენცია, ნაკლები მასშტაბით და ნაკლებად მდიდრული ვარიაციებით, გავრცელდა კოჯრისა და ამაღლების ქუჩებზეც და XIX საუკუნის ათიანი წლებისთვის

სალალაკის და მთაწმინდის კალთების ძირები მთლიანად ათვისებული იქნა განაშენიანებით.

ამაღლების ქუჩის ნაგებობები ე. წ. წითელ ხაზს მიუყვება და მწკრივული განაშენიანების ხასიათი აქვს. აქ ერთმანეთს მისდევს ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები (გამონაკლისია ოთხსართულიანი) ფსევდოკლასიცისტური და ფსევდორენესანსული საფასადო მოტივებით. გვხვდება აგურის ფასადებიც. აქა-იქ შენობები ხსვადასხვა კუთხით დგას ქუჩის ხაზის მიმართ, ზოგჯერ უკანაც არის დახეული და ერთგვარ „სასუნთქ“ უბეებს ქმნის, რაც ქუჩას თავისებურ იერს ანიჭებს. ნაგებობები მორგებულია რთულ რელიეფს და ეს გეგმარებითი პრინციპი გათვალისწინებულია ყოველ ნაგებობაში. ეს ნიუანსი კარგად ჩანს, შინდისის ქუჩის შესაყართან, XX ს-ის დასასრულს ადაპტირებულ, ფსევდოკლასიცისტური სტილის, ეკლექტიკური ელფერის მქონე სახლში – №31. იგი ოსტატურადაა ჩაწერილი მოსახვევში და კარგი მაგალითია ამ უბნის ურბანული სტრუქტურის და მხატვრული სახის გააზრებისთვის. დღეს ქუჩის ეს გეგმარებით-სივრცობრივი სტრუქტურა ფაქტობრივად შენარჩუნებულია.



ესაა ამ უბნის ურბანული სტრუქტურის ძირითადი მახასიათებელი, რაც ქმნის მოულოდნელ რაკურსებს და ნაგებობათა საფასადო სახის მრავალფეროვნებას. ვიწრო და მორკალური ქუჩები ფასადების ფრონტალური სახის სრულყოფილად აღქმის საშუალებას არ იძლევა და ხედვის კუთხე მუდმივ დინამიკაშია.

მეტ-ნაკლებად მეჩხერად განვითარდა განაშენიანება ზემოთ – ფერდობებზე, რაც განპირობებული იყო დამრეცი რელიეფით. დონეთა დიდი სხვაობის გამო ამ ფერდობების განაშენიანებას ტერასული სახე მიეცა.



სალალაკის წყლის ხეობა ამ ადგილას სოლივით არის შეჭრილი ორ ქედს შორის და აქ, სალალაკის და მთაწმინდის დამრეც ფერდობების ძირში განაშენიანება განვითარდა იქ სადაც ამის ტექნიკურ საშუალებას იძლეოდა ბაღებით მოცული ფერდობების ქანობები. განაშენიანების ძირითადი ღერძი განვითარდა კოჯრისკენ მიმავალი გზის მიმართულებით და ამ მრუდეზე ჩამოყალიბდა ამაღლების ქუჩა. XIX საუკუნის ბოლოს აქ ქუჩათა ქსელი ძირითადად უკვე ჩამოყალიბებულია და მათში ასახულია ქალაქის ამ უბნის ურბანული განვითარების ბუნებრივი, მხატვრულ-ისტორიული პროცესი. ამიტომ ამ უბანში მოსალოდნელი ნებისმიერი გეგმარებითი და სარეკონსტრუქციო სახეცვლილების დროს, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული არსებულ ქუჩათა ქსელის და რელიეფის

თავისებურებანი, რათა არ დაიკარგოს ამ ურბანული სტრუქტურის მხატვრულ-ისტორიული ღირებულება.


მიმდებარე ნაგებობათა მხატვრული სახე





ამღლების ქუჩა – №35, №33, №31

საპროექტო ობიექტთან არსებული უსტატუსო და არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხული რამდენიმე შენობა, ერთმანეთისგან განსხვავებულია. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სტილისტური სიჭრელე არ არღვევს უბნის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს, რადგან ეს ნაგებობები სტრუქტურულად და ესთეტიკურად ერთი ეპოქის ამსახველნი არიან. არქიტექტურულ ძეგლად არის აღრიცხული ორსართულიანი საცხოვრებალი სახლი №33, რომლიც ასევე რელიეფს არის მორგებული. იგი XIX-XX სს-თა მიჯნის ტიპური ძველთბილისური ნაგებობაა შიდა ეზოთი, სადაც მოხდა შემოსული არქიტექტურული ფორმებისა და ადგილობრივი ტრადიციების შერწყმა. ყველაზე გვიანია მაღალ ცოკოლზე მდგომი სამსართულიანი ნაგებობა „სტალინური არქიტექტურის“ ფსევდოეროვნული ესთეტიკით – №35.




ამღლების ქუჩის განაშენიანება საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს


ქუჩის მოპირდაპირე მხარეს დგას ქუჩის განაშენიანებიდან ოდნავ შეწეული, არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხული, სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი №34. შენობას ავთენტური სახით მხოლოდ III სართულის ფასადი აქვს, რომლის მთელ სიგრძეზე ხის მოაჯირებიანი ღია აივანია, კუთხეში მურშარაბიანი

ცხაურით. მის გვერდით დგას XX ს-ის II ნახ-ში აგებული სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი მარტივი საფასადე სახით.

საპროექტო ნაგებობა და ტერიტორია



სოლოლაკის ზედა უბანი, ხედი კოჯრის გზიდან, 2010წ.




საპროექტო ნაგებობა, 2013წ.

საპროექტო ნაგებობა დგას ამაღლების ქუჩასა და ამაღლების ჩიხს შორის და უკან არის დაწეული ამაღლების ქუჩის პერიმეტრიდან. ობიექტის უკანა ეზო გადის ოქროყანის ქუჩაზე. მარცხენა მხრიდან ობიექტს ესაზღვრება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი რომელიც ასევე №37 არის დანომრილი. ამაღლების ქუჩის მხრიდან ობიექტის წინ არსებული ეზო შემოფარგლულია

მცენარეულობით შემოზრდილი ღობით. ღობეში დატანილია მარტივი სახის ვიწრო ჭიშკარი.





საპროექტო ნაგებობა №37

საპროექტო ობიექტი ეზოს სიღრმეში დგას. ჭიშკრიდან სახლამდე ვიწრო ბილიკი მიდის. ეს არის მართკუთხა გეგმარების ერთასრთულიანი საცხოვრებელი სახლი, გადახურული თუნუქის ცალქანობიანი საბურავით. ნაგებობას აქვს მარტივი ექსტერიერი ხის შემინული აივნით გრძელ ფასადებზე და შელესილი ფასადებით მოკლეზე, რომლებიც დასახსრულია ასევე მარტივი სარკმლებით და შესასვლელი კარით (უკანა ეზოდან). მეორე გრძელი ფასადით ნაგებობა მიდგმულია L-ისფორმის ორსართულიან საცხოვრებელ სახლზე, რომლის ეზოს ფასადზე მოხარატებულ მოაჯირებიანი ხის გალერეა-აივნებია, უკანა გრძივი ფასადი კი ყრუა, მოგვიანებით უსისტემოდ გაჭრილი რამდენიმე სარკმლით.

არაფრით არ გამოირჩევა არც საპროექტო ნაგებობის ინტერიერი. აქ ჩამწკრივებულია ოთახები წაგრძელებული შემინული აივნის უკან. ოთახებს

მხატვრული ღირებულების მქონე არქიტექტურული ელემენტები არ აქვთ. შესასვლელი მოწყობილია სახლის უკანა ეზოს მხრიდან.





სახლს უკანა მხარეს აქვს ოდნავ დაქანებული მართკუთხა ეზო, რომელიც ოქროყანის ქუჩის მხრიდან ფიცრის მესერით არის შემოღობილი.



საპროექტო ნაკვეთი ოქროყანის ქუჩიდან

ნაკვეთის მარცხენა მხარეს დგას სამსართულიანი, ხოლო მარჯვნივ ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი.



ოქრომყანის ჭუჩა საპროექტო ტერიტორიასთან










საარქივო ფოტოს მიმოხილვა

საარქივო ფოტოზე ჩანს ამ უბნის სახე XX ს-ის დასაწყისში. აქ ამაღლების ეკლესიის ძველი (თავდაპირველი) შენობის მარჯვნივ, ამაღლების გასასვლელით და კოჯრის გზატკეცილით მოცული განაშენიანება ქაოტურია და მას საკარმიდამო ხასიათი აქვს. ფოტოზე ჩანს ამაღლების ძველი ეკლესია და ზოგიერთი დღესაც შემორჩენილი საცხოვრებელი სახლი. მაგალითად ამაღლების ქუჩაზე №34; ფოტოზე ეს ნაგებობები თავდაპირველი სახით არის აღბეჭდილი. დღეს კი თითქმის ყველა მათგანი გადაკეთებულია და დამატებული აქვს სხვადასხვა მინაშენი. **ფოტოზე ასევე ჩანს საპროექტო ტერიტორიის გვერდით მდგომი ორსართულიანი სახლი №37.**

ამ დროისთვის უკვე მოწყობილია ახალი გზა კოჯრისაკენ. ამაღლების ქუჩის პირს კი მიუყვება მცირე ხევი. ფოტოზე ჩანს, რომ ამ ხევზე ფეხით მოსიარულეთა ხიდია მოწყობილი დღევანდელ სახლ №34-თან.



დასკვნა და რეკომენდაციები

გამოკვლეული საპროექტო ტერიტორიის შესწავლისას, ამ მიკროუბანში არ გამოვლინდა მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული ობიექტები ორი გამონაკლისის გარდა (სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი ამღლების ქ. №34 და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ამაღლების ქ. №33. ყველა დანარჩენი ნაგებობა არ არის ღირებული და საინტერესოა მხოლოდ მათი სტრუქტურების განაწილება რთულ რელიეფზე. ასეთივეა საპროექტო სახლიც, ამიტომ მის ნაცვლად ღირებული მოცულობის აგება დასაშვები უნდა იყოს.

ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია რომ ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ შენობას შესაძლოა არც კი ჰქონდეს მაღალი მხატვრული ღირებულება, თუმცა მთლიანობაში, სხვა ნაგებობებთან და ბუნებრივ ლანდშაფტთან ურთიერთკავშირში, ისინი ქმნიან ძველი თბილისისთვის დამახასიათებელ ურბანულ კომპოზიციებს. ამგვარი მონაკვეთების გამოვლენა ძალზე მნიშვნელოვანია ძველი უბნების რეკონსტრუქციის თუ ახალმშენებლობის დროს, რადგან ფონური ნაგებობები ხშირად ასრულებენ ამ ბუნებრივ-არქიტექტურული კომპოზიციების შემადგენელი ჯაჭვის აუცილებელი რგოლების ფუნქციას.

ამიტომ სასურველია ამ კომპოზიციების გამეორება ახალ განაშენიანებაში. ოღონდ გამეორება უნდა იყოს არა მექანიკური, არამედ – გააზრებული და გადამუშავებული, რადგან ჩვენს შემთხვევაში ტერიტორიის დიდ ნაწილზე საკარმიდამო ტიპის განაშენიანებაა. ახალი განაშენიანების დაპროექტებისას კი სასურველია გაიზარდოს განაშენიანების ურბანიზებულობის ხარისხი.

უბნის განაშენიანების ევოლუციური განვითარების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს გვერდით მდგომი სახლი №35 „სტალინური არქიტექტურის“ საფასადო სტრუქტურით და ოდნავ გაზრდილი მასშტაბით. ამავე დროს უარყოფით მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ასევე გვერდით მდგომი, ოქროყანის ქუჩისკენ გამომავალი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი №12, რომელიც არცთუ შეუსაბამო მასშტაბისაა და №35 სახლზე მომცროც კი არის, მაგრამ მისი საფასადე სახე ამოვარდნილია განაშენიანების ზოგადი არქიტექტურული ესთეტიკიდან.

ამგვარად, ამ უბნის ძირითად არქიტექტურულ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს რთულ რელიეფზე განხორციელებული გეგმარებითი და სივრცობრივი მოწყობის ხერხების სინთეზი, რაც ბუნებრივად მიმდინარეობდა XIX – XXსს-ის I ნახევრის მანძილზე. როგორც ავღნიშნე აქ ნაგებობათა უმრავლესობა არ გამოირჩევა მაღალმხატვრული ხუროთმოძღვრული ღირებულებებით, თუმცა ნაგებობათა უმრავლესობა მნიშვნელოვნად მონაწილეობს უბნის საერთო ესთეტიკურ-არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში და თითქმის ყოველი მათგანი საინტერესოა გეგმარებითი სტრუქტურით და რელიეფზე განთავსების ორიგინალური ხერხით.

სამწუხაროდ უკანასკნელი წლების მანძილზე ძველ თბილისში, გამოვლინდა მანკიერი ახალმშენებლობითი პროცესი, როდესაც საერთოდ უგულვებელყოფილი იყო უბანთა არქიტექტურული სახე და გათვალისწინებული – მხოლოდ მენაშენეთა ინტერესები. ასეთი მიდგომით აგებული ნაგებობები, როგორც წესი, შეუსაბამოა უბნისთვის როგორც მასშტაბით, ასევე

მოცულობითი და მხატვრული ფორმებით. ხშირ შემთხვევაში უგულვებელყოფილია მშენებლობის ხარისხიც.

ამავე დროს, რადგანაც ქალაქის განვითარება უწყვეტი პროცესი უნდა იყოს და სოციალური ინტერესების და განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით შესაძლებელია მიღებული იქნეს ახალმშენებლობის გადაწყვეტილება, სასურველია, ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ისეთი მოცულობების აგება, რომელიც შეესაბამება უბნის ხასიათს და უმტკივნეულოდ ჩაეწერება ისტორიულ განაშენიანებაში.

ამგვარად:

- ნაგებობები განვითარებულია რთულ რელიეფზე და კონკრეტულ მოცემულობაზე. ამიტომ ახალი მოცულობის დაგეგმარებისას ანგარიში უნდა გაეწიოს რელიეფის და ქუჩების ქსელის თავისებურებას, რაც კარგად იყო გათვლილი ბოლო დრომდე უბნის განვითარების მთელ მანძილზე;

- უბნის თითქმის ყველა ნაგებობა მოცული იყო შესაბამისი მასშტაბის ეზოებით, რაც უბნის განაშენიანების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია;

- სასურველია უბნის მასშტაბისთვის შესაბამისი მოცულობების დაპროექტება. მას არ უნდა ჰქონდეს „სოლოდური“, დიდი მასის სახე;

- ახალი მოცულობის ფასადების (როგორც ქუჩის, ასევე ჩიხის მხრიდან) მხატვრული სახე, ღიობთა პროპორცია, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება არ უნდა არღვევდეს უბნის ამ მონაკვეთის ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას;

- ამავე დროს ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილისტიკა ზომიერად უნდა იყოს გამოყენებული რათა ახალმშენებლობა არ დაემსგავსოს ბუტაფორიას;

- სასურველია ახალი მოცულობა იყოს არქიტექტურული განვითარების ევოლუციური პროცესის შესატყვისი. ამ შემთხვევაში შესაძლებელი ჩანს, ვიზუალურად ნაკლებად აქტიური, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებაც, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ მახასიათებლებთან კონტექსტში;

- ამგვარი პროცესი ჩანდა XXს-შიც. როგორც ავღნიშნე, სახლები №25 და №35 კონსტრუქტივისტური და „სტალინისტური“ საფასადო სტრუქტურით და ოდნავ გაზრდილი მასშტაბით, ამაღლების ქუჩის ჰომოგენური განაშენიანების ჯაჭვის სრულფასოვან რგოლებად წარმოჩინდა;

- ასევე სასურველია ახალი მოცულობის სახის ჩვენება ფოტომონტაჟით მეტი თვალსაჩინოებისთვის სხვადასხვა რაკურსიდან;

- აუცილებლად იქნება გასათვალისწინებელი მშენებლობის ხარისხი;

ხელოვნებათმცოდნე – გ. ჭანიშვილი
10. 12. 2013წ.